საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 4987/01
19/05/2021

4987-01-2-202105191756

შპს „ყვარელის ბაგას“

მის: ქ. ყვარელი, ი. ჭავჭავაძის ქ., N13

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2021 წლის 14 აპრილის N6635 წერილი, რომელიც ეხება შპს „ყვარელის ბაგას“ მესაქონლეობის ფერმის ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადებას და გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით, შპს „ყვარელის ბაგას“ მესაქონლეობის ფერმას გააჩნია 2100 ძროხის სადგომი, ნაკელის ლაგუნები და დიზელის შესანახი რეზერვუარი ავტომანქანების შევსების უბნით.

როგორც თქვენ მიერ წარმოდგენილ (2021 წლის 3 თებერვლის N09/02-21 წერილი) ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიშთან დაკავშირებით, სამინისტროს 2021 წლის 1 მარტის N 1848/01 წერილით გეცნობათ, ვინაიდან ზემოაღნიშნული მასალებიდან დგინდებოდა, რომ შპს „ყვარლის ბაგას“ მესაქონლეობის ფერმას გააჩნდა 2100 ძროხის სადგომი, ნაკელის ლაგუნები და დიზელის შესანახი რეზერვუარი ავტომანქანების შევსების უბნით და ასევე ძროხების სადგომების ნაწილი და საწვავი-ავტოპარკის ტერიტორია მოეწყო 2019 წლის შემდეგ, ხოლო 2015 წლის 16 ოქტომბერს სამინისტროსთან შეთანხმებულ ინვენტარიზაციის ტექნიკურ ანგარიშში, გათვალისწინებული იყო 600 ძროხის სადგომი, ნაკელის ლაგუნა და ასევე, დიზელის რეზერვუარი გასამართი სვეტით, შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებდა მესაქონლეობის ფერმაში ცხოველთა დამატებითი სადგომების და დიზელის დამატებითი რეზერვუარის მოწყობის საკითხები და პერიოდი, რაც კვლავ არ არის დაზუსტებული წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში.

კერძოდ, სკრინინგის განცხადებასთან დაკავშირებით გაცნობებთ შემდეგს:

- სკრინინგის განცხადებაში არ არის მოცემული ინფორმაცია, თუ როდის მოეწყო მესაქონლეობის ფერმაში ცხოველთა დამატებითი სადგომები (შესაბამისი რაოდენობებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მითითებით) და დიზელის დამატებითი რეზერვუარი;
- სკრინინგის განცხადებაში მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია როგორც არსებული, ისე დაგეგმილი საქმიანობების შესახებ, არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით და შესაბამისი დასაბუთებით;
- სკრინინგის განცხადებაში გათვალისწინებული უნდა იყოს 15 ტონიანი ავზის ბეტონის საძირკველის ჰერმეტულად შემოღობვის საკითხი, ხოლო შემოღობილი სივრცის მოცულობა 10%-ით უნდა აღემატებოდეს ავზს, რათა ავზის

ჰერმეტულობის დარღვევის შემთხვევაში არ მოხდეს ფერმის ტერიტორიის დიზელის საწვავით დაბინძურება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით საქმიანობაზე იმსჯელებს აღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით სრულყოფილი სკრინინგის განცხადების სამინისტროში წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე